F53/2 N13143


# ჩვენი გზა

№ 1

თფილისი

1907

სამშაბათი, 4 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7 მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, редакція „Чвени Гза“.

## ყოველ-დღიური პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი


**რედაქციისაგან** ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი უნდა გამოსულიყო კვირას, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ მოხერხდა და ზოგიერთი წერილები დღესთვის დასაბეჭდათ მომზადებული შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Чвени Гза“.


გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапанъ“ **Георгію Григорьевичу Бежіашвили.**

---

„ჩვენი გზის“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ტრაგიკულ გ დაცვალებას სახელოვანი მგოსნის

თ-დ ილია გრიგოლის ძე

**ჭავჭავაძისას**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

გნერალ ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა და ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორე—ძმისა

**ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისას**

პანაშვიდი იქნება გადახდილი ყოველ დღე ს. საგურამოში 12 საათზე და თფილისში ნაშუადღევის 2 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

---

### † ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება სავსეა ისეთი ფაქტებით, რომელნიც მწვავე გრძნობებს იწვევენ და მწარეთ აფიქრებენ თითოეულ ჩვენგანს. ასეთი ფაქტია ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მკვლელობაც. განახლებული ცხოვრების ერთი იდესი საკითხი იმაში იყო და არის, რომ ადამიანის პიროვნებას ფასი დასდებოდა ჩვენში. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ადრე თუ გვიან, ჩვენდა სასურველათ გადაწყდება; დადგება ჩვენშიაც ის დრო, როცა კაცის პიროვნება ხელშეუხლებელი გახდება და სათანადო პატივი დაედება. დღეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ თუ იდეიურათ არა, ფაქტიურათ მაინც კაცის სიცოცხლემ თითქო ფასი და მნიშვნელობა დაჰკარგა, სამართლიანობამ შურის ძიების ხასიათი მიიღო. და აქ გასაკვირიც არაფერია. სადაც საზოგადოება მოკლებულია ცხოვრებისათვის ბრძოლის კულტურულ საშვალებას, იქ აუცილებლათ თავი უნდა იჩინოს და ფესვი გაიდგას სისხლის ღვრამ, პირადმა შურის ძიებამ, ანარქიამ, ძალმომრეობამ, ქურდულათ და ავაზაკურათ მოქმედებამ, მეზობლურმა კინკლაობამ, წვრილმანობამ, ქვემძრომობამ და სხვა ანტისოციალურმა მიდრეკილებებმა და თვისებებმა. ამიტომაცაა, რომ თუმცა დღეს ძლიერ ბევრს ვყვირით და ვლაპარაკობთ სხვა და სხვა უფლებებზე, კანონიერებაზე, სამართლე-პატიოსნებაზე, პიროვნების პატივის ცემაზე და ხელშეუხლებლობაზე, მაგრამ ყველა კარგათ ხედავს, რომ კვლა, შურის ძიება და სხვა ასეთ გვარი ანტიკულტურული და ანტისოციალური მოვლენები უფრო გარეგნულათ გვაღელვებს. ჩვენ თითქო სრულიად შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც ხდება დღეს ჩვენ გარშემო, მომავალი ცხოვრებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. და აი, სწორეთ ეს გარემოება ახასიათებს ჩვენს საზოგადოებას. ასეთი შეხედულება წიადაგს პოულობს სწორეთ ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც არა აქვს არც კულტურული ტრადიცია, არც ძლიერი საზოგადოებრივი ინსტინქტი, არც მყარი მოქალაქობრივობა. აი რა გვაფიქრებინა ჩვენ, სხვათა შორის, ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მკვლელობამ. ჩვენ ჯერ არ ვიცით ვისმა ბარბაროსულმა ხელმა იმსხვერპლა ილია ჭავჭავაძე, რომელმა მტარვალმა შეიღება ხელი მისი სისხლით. დღეს საკმაოა კაცს უხერხულათ გამარკვევა უახრა, რომ მოსისხლე მტრათ გადაიკიდო. შესაძლოა ილია ჭავჭავაძე პირადი შურის ძიების მსხვერპლი გახდა. შეუმცდარი და უცოდველი არავინაა და შეიძლება განსვენებულსაც მიუძღოდა ვისმე წინაშე ნებსითი და უნებლიეთი საწყენი რამ. შესაძლოა მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებული ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც მძვინვარებს დღეს მთელ რუსეთში მესაკუთრეთა და უმწეოთ დარჩენილთა შორის. ცხადზე უცხადესია, რომ ბრძოლის ასეთი საშუალება არამც თუ მიზანს ვერ აღწევს, ის რყვნის, ავლურებს, და ასუსტებს თვით მას, ვინც იბრძვის ასეთი საშუალებით. ამიტომაც, თუ განსვენებულის მკვლელობა აღნიშნულ ნიადაგზე მოხდა, ჩვენ რაღა დაგვრჩენია მის მეტი, რომ კვლავინდებურათ ერთჯერ კიდევ დავგმოთ და სასტიკათ გავკიცხოთ ასეთი ველური მოქმედება; მაგრამ აქ საქმე მარტო სიტყვით და გრძნობათა მღელვარებით არ უნდა გათავდეს. ეს აღმაშფოთებელი შემთხვევა ერთჯერ კიდევ გვაგონებს, რომ მღდგარი ბრძოლა გვმართებს, რათა ახლო მომავალში მოვიპოვოთ საშუალება კულტურული ბრძოლისა და თავიდან ავიცილოთ ბრძოლის ყოველგვარი საშუალებები, რომლებსაც გადაშენებისკენ მივყევართ, უნდა დაუყოვნებლივ დღეიდანვე საჭირო ზომა ვიხმაროთ, რომ ფარდა აეხადოს და ნათელი მოეფინოს იმ კითხვას, თუ ვინ და რისთვის, რა მიზნით მოიმოქმედა ეს მკვლელობა. ამას გვავალებს ჩვენ განსვენებულის წარსული. გულწრფელათ უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც მებრძოლი, როგორც საზოგადო მოღვაწე, ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია აღარ



არსებობა. მაგრამ განა დასტრული უჩანს მის არსებობას როგორც „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“ „აჩრდილის“, „განდეგილის“, „ყაჩაღის“, შემომქმედისას? განა გარდამავალია ნაყოფი მისი იმ დროინდელი სულის კვეთებისა და პოეტიური გრძნობის მღელვარებისა, როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმში იდგა და მას ხელმძღვანელობდა? რომ ეს ასე იყოს, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ წარსულზე. და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთათ ისინი ჰკლავდენ და სპობდენ იმასაც, რაც ილია ჭავჭავაძემ თვისი ნიჭით და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ საღარიში, ჩვენ ზიზღით და მრისხანებით შევყვირებთ ასეთ მტარვალებს: შორს თქვენი მურტალი ხელი ამ სამკაულისაგან. ეს სამკაულიც და მისი შემომქმედი ილიაც ეკუთვნის საზოგადოებას; ისინი არიან ხელთ უქმნელი ძეგლი; ან განშორდით მათ, ან და მოდით, თუ ეს თქვენთვის კიდევ შესაძლოა და ისწავლეთ მათგან, რომ შეინანოთ და თქვენც ღირსი გახდეთ კულტურული ცხოვრების.

---

### კადეტების საარჩევნო დეკლარაცია

ამ დღეებში რუსეთის სტახტო გაზეთებმა გადმოგვცა კადეტების საარჩევნო დეკლარაცია, რომელიც შეუმუშავებია პარტიის წარმომადგენელთა საგანგებო კრებას. დოკუმენტი დიდათ საყურადღებოა, რადგან საკმაო მასალას იძლევა გავითვალისწინოთ ბურჟუაზიულ ბანაკის ამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ლონიერ პოლიტიკურ პარტიის დღევანდელი პოზიცია და ტაქტიკა.

როგორც იცით, მეორე სახელმწიფო დუმის მოქმედების დროს, კადეტებმა გულდასმით იწყეს თავიანთ სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნათა შემოკლება, თავიანთ პროგრამის შესწორ-შემოსწორება, რათა იგი ვითომდა შეეგუებინათ პოლიტიკურ მომენტისათვის. კადეტები მემარცხენე ოქტომბრისტებამდე ჩამოქვეითდენ და შეუჩერებლივ მიექანებოდენ კიდევ უფრო მარჯვნივ. მათი საოპოზიციო ნიადაგი იმდენათ შეირყა, რომ მთელი მემარცხენე ოპოზიცია დუმაში თუ დუმის გარეთ ხმა მაღლა ალაპარაკდა და დრტვინავდა კადეტთა მოღალატეობაზე, დალაჩრებაზე და გათახსირებაზე დუმის ხელმორეთ გარეკა და მთელი აქტი 3 ივნისისა, რომელმაც ერთის დაკვრით შესცვალა მთელი პოლიტიკური ვითარება, რა თქმა უნდა, ვერც კადეტების პოზიციას დატოვებდა ხელუხლებლათ. და აი ახლათ გამოქვეყნებული დეკლარაცია გვიჩვენებს თუ სადა დგანან დღეს კადეტები.

დასახელებული საარჩევნო დეკლარაცია თუ პლატფორმა ნათლათ აღნიშნავს, რომ კადეტები ეხლა გადაჭრით უერთდებიან საოპოზიციო ბანაკს. იგი აცხადებს, რომ „ვერც რეპრესიები, ვერც ძველი რეჟიმისაკენ დაბრუნების ცდა და ვერც სანახევრო რეფორმები—ვერ გადასწყვეტენ დღევანდელ სახელმწიფო კრიზისს და ქვეყანას ვერ გამოიყვანენ სამშვიდობო გზაზე: საამისოთ არის მხოლოდ ერთად ერთი საშუალება: „კონსტიტუციონურ წეს-წყობილების დამყარება და დემოკრატიულ რეფორმების ბეჯითი განხორციელება“. პლატფორმა გადაჭრით აცხადებს, რომ კადეტები აგრარულ საკითხში მტკიცეთ იდგებიან მამულების იძულებით ჩამორთმევის პრინციპზე, პოლიტიკურ სფეროში არ დასთმობენ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო საარჩევნო უფლებას, „უახლოებელეს მიზნათ დაისახავენ განახორციელონ ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმა დამყარებული ფართე, დემოკრატიულ პრინციპებზე“ და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, კადეტები მოდიან პოლიტიკურ კამპანიაში და თან მოაქვთ მთელი თვისი პროგრამა უმეტნაკლებოთ.

კარგი და პატიოსანი! კადეტთა პროგრამაში, რა თქმა უნდა არის ისეთი პუნქტები, რომლის განხორციელება დიდათ სასიკეთო იქნება ქვეყნისთვის, რომელთა განხორციელება აუცილებელია და მასთან საერთო საქმეც მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის, მაგრამ მარტო ლენ პროგრამით ხომ ფონს ვერ გახვალთ. უაღრესათ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მთელი საქმისა არის ის გზა, ის საშუალებანი, ის ტაქტიკა, რასაც პარტია ირჩევს თავისი პროგრამის განსახორციელებლათ. ამ მხრივ კი „სახალხო თავისუფლების პარტიის“ დეკლარაცია ვერაფრათ არის სანუგეშო. იგი გვამცნებს, რომ კადეტები ვერ გამოსულან თავის „ძერქიდან“, ვერა სტოვებენ „ძველს გზასა“ და ალბათ ვერ დასტოვებენ ვერც „ძველსა მეგობარსა“.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ „როდესაც 1905 წ. 17 ოქტომბერს ზეიმით გამოცხადებულ იქნა მეფის განუდრეკელი ნება-სურვილი... ქვეყანა (იგულისხმე კადეტები და მოკადეტო ხალხი) გაიმსჭვალა მტკიცე იმედით, რომ ამიერიდან ბიუროკრატიის თვითნებობას ბოლო მოეღებოდა!.. ამ იმ დროს კადეტები გატაცებით შეუდგენ საკონსტიტუციო და საკანონმდებლო მუშაობას, მაგრამ „მუშაობა იგი შეწყვეტილ იქნა“, „იგი სათავეში შეაჩერეს და ამ რიგათ „იმედი ესე აქამომდე არ განხორციელდა“, პირიქით, „პირდაპირ დარღვეულ იქნა ძირითადი კანონები“ (ე. ი. „კონსტიტუცია“). საფიქრებელი იყო, რომ კადეტებსაც შეერყეოდათ იმედი „საკონსტიტუციო გზით“ მისულიყვნენ პროგრამის განხორციელებამდე ანუ თუნდ ამის სიახლოვემდი. მაგრამ კადეტები მაინც მტკიცეთ ჩაფრენიან თავის „იმედს“; კადეტები კარგათ ხედვენ, რომ 3 ივნისის შემდეგ ძლიერ შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა, ისინი თვითვე აღიარებენ, რომ „ეხლა ქვეყანას მძიმე განსაცდელი ელის“ მაღლიდან, „კონსტიტუციის“ სფერებიდან, მაგრამ მაინც არ ფიქრობენ ოდნავთაც შეს ვალონ თვისი ტაქტიკა. დეკლარაციაში ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „არჩევნების შედეგებზე დამოკიდებული იქნება ის, თუ რა მასშტაბით შეიძლება განხორციელდეს მესამე დუმაში ხალხის მოთხოვნანი... „უკეთუ, გარკვეულის მეცადინეობით, აწ ნდილ საარჩევნო კანონის ფარგლებშიც, მოვახერხებთ სახ. დუმაში გავიყვანოთ ხალხის ინტერესთა დამცველნი, უკეთუ ის ამრჩეველნიც, ვისზედაც ბიუროკრატიამ დაამყარა თვისი უკანასკნელი იმედები, სახალხო საქმის მომხრეებათ აღმოჩნდებიან, მაშინ შკარა იქნება, რომ ძველი რეჟიმის დამცველთ არა აქვთ არავითარი საყრდენობი არც ერთ დაწინაური საზოგადოებრივ კლასში,—**და ისინიც (მმართველნი) ვეღარ შესძლებენ გაუმტებუნ უარზე იგევენ, რომ განხორციელდეს ქვეყნის მოთხოვნანი**“. როგორც ხედავთ, კადეტებს ჯერ კიდევ თავი არ დაუხწევიათ „საკონსტიტუციო ილიუზიებისთვის“ და რაღა საკვირველია თუ იგინი დღესაც, ისე როგორც გუშინ, ბეჯითათ უდგანან „საპარლამენტო“ გზაზე, ერთათ ერთ ნაყოფიერ ტაქტიკათ აღიარებენ „კონსტიტუციის“ ფარგლებში მოქმედებას, რაიც, დღევანდელ პირობებში ლოღიკურათ გაიოლებულ დის გატარებული ნიშნავს სრულ უაზრობას... დიახ, განვლილ სატიკ პოლიტიკურ ბრძოლაში კადეტებს არაფერი არ დაუვიწყნიათ და არაფერი არ უსწავლიათ.

მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ „კონსტიტუციის“ იმ ნატეხებიდან, რაიც გადურჩა 3 ივნისს, ჯიუტობით შესაძლებელია აშენდეს რაიმე საკონსტიტუციო შენობა; მერე სად არის იმის თავმდები, რომ ხვალვე არ გაჩნდება ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, როცა შავრაზმელებს სრული საბუთი ექნებათ გაიმეორონ ფრაზა, რასაც „რუს. ზნამია“ სწერდა 3 ივნისის აქტის გამო: „მეფემ მოგვცა და მეფემვე უკან წაიღო, ვის რა საქმე აქვსო?“ მეორე მხრივ განა ადვილათ შესაძლებელი არ არის, რომ მესამე სახ. დუმაში ბატონობა დარჩეთ არა კადეტებს, არამედ წმინდა მეშავრაზმელეებს? კადეტების დეკლარაცია ასეთ ძნელ პე სპექტივებსაც (პომეშჩიკის სურათებსაც) განსჭვრეტს და იგი ამ შემთხვევისთვის პარტიას უტოვებს კრიტიკას. „ამ კრიტიკით—სწერია დეკლარაციაში—და სხვა საპარლამენტო საშუალებებით იგინი (კადეტები) ქვეყანას გადაუშლიან რეაქციის ჭეშმარიტ სურვილებს და მიზნებს და მათ ხალხის სახელით, დაუპირდაპირებენ გაბედულ და ბეჯით პროტესტს“. მაგრამ წარსულის გამოცდილებით ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ფასი აქვს კადეტების კრიტიკას და პროტესტს. კრიტიკა ზოგჯერ მათ ხელს არ უშლის დაამტკიცონ სამხედრო-საველე სასამართლოების მთავრობის ბიუჯეტი ჯარში გასაწვევთა კონტინგენტი და სხ; მათი „გაბედული და ბეჯითი პროტესტი“ ზოგჯერ შეიძლება პირდაპირ დამუჯობათ იქცეს და კადეტების ფრაქციაც შეიძლება ერთიანათ გადაყირავდეს მემარჯვენეთა ბანაკში. კადეტებისთვის ყველაფერი დამოკიდებულია გარეშე, პოლიტიკურ გარემოებაზე.

განმათავისუფლებელ მოძრაობამ რომ სავსებით გამოიყენოს ის პოლიტიკური ძალა, რაც დაფარულია კადეტთა პარტიაში, და რომ სახალხო საქმეც მარჯვეთ წავიდეს გამარჯვებისკენ, ამისათვის დუმაში და დუმის გარეთ აუცილებლათ საჭიროა მხნე და განუდრეკელი მემარცხენე ოპოზიცია, საჭიროა მასსის ამოძრავება, რომელსაც სათავეში ედგება კლასიურათ გაცნობიერებული მუშა ხალხი და მისი რჩეულნი. აი სწორეთ აქეთ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ძალ-ღონე; აი, აქეთ არის **ჩვენი გზა.**

# ახალი ამბავი

◆ **პანაშვიდი.** კვირას 2 ამ თვეს დილის 2 საათზე სიონის სობოროში ეპისკოპოს პეტრეს მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი თ. ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი და დიდძალი საზოგადოება.

◆ ამავე დღეს დილის 10 ს. დანიშნული კრება თფილისის ქართულ დრამატიული საზოგადოებისა სათავად აზნაურო ბანკში არ შესდგა, რადგანაც ამავე დღეს დანიშნული იყო პანაშვიდი თ. ი. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო 2 ენკენისთვეს საღამოსთვის თ. ი. ჭავჭავაძის სიკვდილის გამო გადაუდვიათ.

◆ **წ. კ. ს. გამგეობის დადგენილება.** შაბათს 1-ლ სეკტემბერს მოხდა ზემოხსენებული საზოგადოების კრება. კრებამ იქონია მსჯელობა ტრაგიკულად გარდაცვალებულ საზოგადოების თავმჯდომარის თ. ი. გ. ჭავჭავაძის შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1. გადახდილ იქნას პანაშვიდი სიონის ტაძარში სამშაბათს ორ საათზედ ი. გ. ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად და ეს გამოცხადებულ იქნას გაზეთებში; 2. შეკვეთილ იქნას ცოცხალ ყვავილებისაგან საუკეთესო გვირგვინი შესაფერი ზედ-წარწერით; 3. დაიბეჭდოს პატარა კრებული და დარიგდეს უფასოთ დაკრძალვის დღეს; 4. წევრებმა გამგეობისამ დასაფლავების დღეს წარმოსთქვან სიტყვები საზოგადოების სახელით; 5. გამგეობის წევრები ყველა დაესწროს დაკრძალვას შავ ტანთ-საცმელებში; 6 დაევალოს ბ. დ. კარიჭაშვილს და ივ. რატიშვილს წ. კ. საზოგადოების მხრით მიიღონ მონაწილეობა დაკრძალვისათვის შემდგარ კომისიებში 7. ამათვე სთხოვოს დაესწრონ გამოსვენებას საგურამოში და 8. გამგეობის ყველა წევრები შეხვდეს განსვენებულის მოსვენებას ქალაქ გარეთ შავიბში.

◆ გლდანიდან იტყობინებიან, რომ იქ ერთ ეზრაელს, 14 წლის ბავშვს, თავი მოუკლავს, მხოლოდ იმის გულისათვის, რომ სოფელში მისთვის შეურაცყოფა მიუყენებიათ—უწოდებიათ: „უსინიდისო ბიჭიანი“.

◆ თფილისის მეპურეებს დაუარსებიათ კავშირი შემდეგის სახელწოდებით: „თფილისის ქართული პურის მცხობელ თვით მშრომელ მუშათა კავშირი“.

◆ ეს ერთი თვე გადის რაც თფილისში მეღორნეთა მუშები გაფიცულები არიან, მათ მიერ წარდგენილ ეკონომიურ მოთხოვნებზე ხაზეინებს თავიანთი მოთხოვნებით უპასუხნიათ. ზოგიერთ მუხლებში შეთანხმება ზოგიერთი მუხლები ხაზეინებისა ახალია მუშებისათვის. ამის გამო მოლაპარაკება სწარმოებს ორივე მხრით. გაფიცვა ჯერ ისევ გრძელდება.

◆ გუშინ, 3 სეკტემბერს სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა გორის მცხოვრებ ივანე პავლიაშვილისა. მას ედება ბრალად ალექსანდროპოლში სიკვდილი პორუჩიკ კოსენკოსი. სუდის თავმჯდომარეა გენერალ მაიორი სტოლისემსკი სამხედრო პროკურორი კაპიტანი პაზნიაკი ბრალდებულს იცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე კოჩუხოვი.

◆ კვირას, 2 სექტემბერს თფილისის სათავად აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში მოხდა საზოგადო კრება თფილისის სხვადასხვა დაწესებულებათა და ადგილობრივ პრესის წარმომადგენლებისა. კრებამ საერთო თათბირის შემდეგ თ. ი. გ. ჭავჭავაძის დაკრძალვის შესახებ დაადგინა შემდეგი: დაკრძალვა მოხდება მომავალ კვირას მთაწმინდაში. პარასკევს მიცვალებულს გამოასვენებენ საგურამოდგან.

◆ 1-ლ სექტემბერს გაჩხრიკეს დახურული გაზეთ „ხარისხის“ რედაქცია. წაიღეს სხვადასხვა მიწერ-მოწერის ბარათები. ბროშურები, ადრესები როგორც ხელის მომწერთა, აგრეთვე აგენტებისა. დაატყვევეს კარის კაცი ასატური.

◆ კვირას 12 საათზე გაჩხრიკეს მასწავლებელ სერგო მონასაძის სახლი. საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენიათ.

◆ სომხის ნერსესიანთ სემინარიისთკარის კაცი და პატიმრეს.

◆ დღეს გამოსაცდელათ გაუშვებენ ელექტრონის ვაგონს კახეთის გზაზე ნავთლუღის დასაწყისამდის.

◆ თფილისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა თამბაქოს ქარხნების მუშათა პროფესიონალური საზოგადოების წესდება.

◆ სახალხო უნივერსიტეტის სომეხთა სექციამ დახურა ავლაბრის მუშათა საღამოს კურსები. ეს კურსები იქნება მოთავსებული სომხის ნერსესიან სემენარიასთან, სადაც სწავლა დაიწყება 7 ენკენისთვიდან; თუ რომ მსურველთა რიცხვმა იმატა, მაშინ შესაძლებელია ხელმეორეთ გაიხსნას ავლაბრის კურსებიც.

◆ განთავისუფლება ციხიდან. 24 ივლისს საყოველთაო ჩხრეკის და დაჭერის დროს დატყვევებული გურგენ ლევანიანი, რომელსაც აღმოაჩნდა სამი ცალი თოფის გილზი, უკვე განთავისუფლეს

◆ როგორც ანგარიშებიდან გამოურკვევია ქალაქის საბჭოს დღემდის შემოუტანელი გარდასახადი მამულებზე, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებებს, შეადგენს 506, 116 მან. და 15 კაპ.

◆ რკინის გზის გამგეობამ არ მიიღო წინადადება თფილისის ქალაქის საბჭოსი—გაიყიდოს ტორგით ყველა ის საქონელი, რომელიც თფილისის სადგურზე მოდის და ვადის გასვლის შემდეგ მას პატრონი არ უჩნდება.

◆ თფილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გაგზავნა ორი დელეგატი, ერთი მუშა მამედ ოხუნდოვი, მეორე ინჟენერი კასუმბეკოვი ბაქოს მუსულმანთა სიეზდზე დასასწრებლათ. დელეგატები გააცნობენ სიეზდზე დამსწრეთ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების მიზანს.

◆ დღეს გამოვა ახალი სომხური გაზეთი „აკოს“ ნაფიცი ვექილის თანაშემწის მელიქ ოგანჯანოვის რედაქტორობით-

◆ 4 სექტემბერს განახლდება სომხური გაზეთის „მშაკი“-ს გამოცემა თავისძველი პროგრამით.

◆ თფილისის მიხეილის საავათმყოფოს ადმინისტრაცია წინადადებას აძლევს ქალაქის თვითმართველობის საბჭოს დაუთმოს მას ადგილი სასაფლაოს ახლო მიცვალებულთა შესანახათ.

◆ 31 აგვისტოს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში, გაირჩა საქმე გორის მაზრის თავად ბეგთაბეგოვსა და მის მოურავ მოსიაშვილზე თავდასხმის შესახებ. პასუხის გებაში მიცემული იყო ოთხი კაცი. თავმჯდომარეობდა გენერალ მაიორი რატინოვი; ბრალს სდებდა პოდპოლკოვნიკი გლადკოვი; ბრალდებულთ იცავდა სახაზინო ვექილი სოსიევიჩი. სუდმა გაამართლა ერთი იაკობ ხაშილაძე დანარჩენ სამს მარტიროზ გაბარაშვილო, კარაპეტ მეკერაშვილ და ალექსი ნადირაშვილს გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა.

◆ როგორც გავიგეთ, ამ მოკლე ხანში მოხდება მთელი კავკასიის მუშათა პროფ. კავშირების კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის ინიციატივა უკისრნია თფილისის პროფ. კავშირების ბიუროს. წარმომადგენლობა იქნება უბრალო, არა დემოკრატიული ე. ი. დიდ ქალაქებიდან როგორც, ბაქო, ბათუმი და ქუთაისი, დაესწრება ორ-ორი წარმომადგენელი; პატარებიდან—თითო. კონფერენცია სათათბირო იქნება და მისი დადგენილება არა სავალდებულო კავშირებისთვის.

◆ 29 აგვისტოს სანიტარულ კომისიას დაუთვალიერებია მადათოვის კუნძული და კრასნაგორსკის ქუჩა. ტერასატუროვისა და ბელიაევისათვის წინადადება მიუცია სამი დღის განმავლობაში გაასუფთაოს ეზო და მტკვრის ნაპირა ადგილების კრასნაგორსკის ქუჩაზე მცხოვრებთათვის წინადადება მიუცია დაუყოვნებლივ ამოვსებულ იქნეს არსენალის არხი და შიგ ჩაწყობილი წყლის გასავალი მილები.

◆ 31 აგვისტოს მოხდა თფილისის სანიტარ მზრუნველთა კომისიის კრება. კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: ა) არჩეულ იქმნას ახალი წევრები კომისიისა: 5 უბანში მელიქ ბახტანიან; 6-ში გიორგი მოსესძე შათიროვი; 8-ში გრიგოლ ივანეს ძე ოოიძე და 9-ში თავადი გიორგი სპირიდონის ძე ციციანოვი და მირიმან დავითის ძე მარიმანოვი. ბ) აირჩიეს სამი წევრისაგან კომისია, სადაც შედის მარკოზოვი, ამელოვი და მატვეევი წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს რათა ამ კომისიაში შეყვანილ იქნეს ქალაქის რამდენიმე ტეხნიკი და ექიმი, რომელთა ვალდებულება იქმნება აღნიშნონ ყველა ის ადგილები სადაც გასაწმენდი არხები არ არის გაყვანილი.

## პროვინცია

**გურია.** 18 აგვისტოს, სდ. ნატანებში მაზრის უფროსმა, რომელიც ბათომიდან მომავალ მატარებელს ამოუვა, რამოდენიმე კაცი დაიჭირა და ოზურგეთში გაგზავნა.

— ამ დღეებში დასწვეს ექ. დონაძის სახლი, თვითონ დონაძე მძიმეთ ნაცემი სატუსაღოში გაგზავნეს. დონაძეს თავი გატეხილი აქვს, მის მორჩენას ეჭვობენ. ამავე დამით დაიჭირეს რამდენიმე ახალგაზრდა ქალაქის ბაღში. მათ შორის თედ. ხუხუნაიშვილი და ს. ქადეიშვილი. ქალაქში დიდი შიშია გამეფებული, ამბობენ დაწვავენო. დამდამობით ქუჩებში დიდ-ძალი ჯარი დადის, რომ ქალაქი სათერთხესაგან დაიცვან.

— ამას წინეთ ინგუშებმა ნატანების გზაზე ხანჯლით სასიკვდილოთ დასჭრეს ტუსაღი-თათარი, რომელიც ოზურგეთში მიჰყავდათ დაჭერილი.

— ამ დღეებში ს. ლიხაურში მეჯავახაძემ ცულით სასიკვდილოთ დასჭრა თაყაიშვილი.

— მაზრის უფროსმა სამსახურიდან გადაუყენა ორი ბოქაული.

— ამას წინეთ სურების საზოგადოებაში მოკლეს ტყის მცველი ს. ტრაპაიძე. ამის გამო სურების მცხოვრებთ ეგზეკუციით ემუქრებიან. აგრეთვე ოზურგეთში დაიბარეს მთელი სურების საზოგადოების მცხოვრებნი, მაგრამ ხალხმა ოზურგეთში წასვლაზე უარი განაცხადა.

---

**ხან ასე და ხან ისე**

**სცენები ორ სურათათ**

(განმათავისუფლებელ მოძრაობის დროიდან)

**ნ. აზიანისა**

**მომქმედნი პირნი:**

**თავ. ნიკო ასლანბეგოვი**—62 წლისა—„ოტსტავნოი“ შტაბს-კაპიტანი.

**კნეინა ნინო**—50 წლისა—ამისი მეუღლე.

**თავ. მიშო**—25 წლისა—მათი უსაქმო და უსწავლელი შვილი.

**კნიაჟნა თალო**—70 წლისა—თავ. ნიკოს და.

**კატო**—45 წლისა.

**გრიქორ სტეფანიჩ**—50 წლისა—მდიდარი ვაჭარი.

**ანანა**—ამისი მეუღლე.

**ვასო ბარბაროვი**—32 წლისა—ექიმი.

**ალექსანდრ ივანიჩ ადაშვილი**—შუა ხნისა—ჩინოვნიკათ ნამყოფი, ახლა ქალაქის მოურავობას ლამობს.

**ტასო**—40 წლისა—ამისი მეუღლე.

**შაქრო**—19 წლისა—მერვე კლასის გიმნაზიელი—კატოს დისწული.

ეს სცენები სწარმოებს ქართლის ერთ-ერთ პატარა ქალაქში 1905 წ. შემოდგომაზე (რეპრესიების დროს) 17 ოქტომბრის მანიფესტამდინ.

**გამოსვლა 1.**

ფარდა აიხდება თავ. ასლანბეგიანთ სასტუმრო ოთახში. საღამო ჟამია. კნეინა ნინო (ევროპიულათ ჩაცმული) სტუმრების მოლოდინში „კაჩალკაში“ ქანაობს. მის პირდაპირ, რგვალ სტოლთან, თავ. ნიკო კრესლოში ზის და ძველ გაზეთს კითხულობს. (ახალი არ მოდიოდა საერთო გაფიცვის გამო) იქვე, შორიახლო, თავ. მიშო („დვორიანსკი ტუჟურკა“-ში გამოწყობილი) სარკის წინ ივრიხება. ცოტა მოშორებით კნიაჟნა თალო, (ქართული კაბით) კუშეტკაზე მოკეცილი, ქარვის კრიალოსანს ათამაშებს.

**გამოსვლა 1.**

თავ. ნიკო, თავ. მიშო, კნეინა ნინო და კნიაჟნა თალო.

**კნეინა ნინო.** (საათს შეხედავს) საცაა კიდეც მოვლენ... (მეუღლეს) თალო, შენ კი არ ითამაშებ „ლოტოს?“

**კნიაჟნა თალო.** ბიჭო, მე რაღა ვარ! ამდენი ხნის სახლში დაწყევლილებს ძლივს გვეღირსა თვალის გახელა, ძლივს გვეღირსა სტუმრიანობა და უარს ვიტყვი?

**თავ. მიშო.** (მოტრიალდება და ულვაშების გასწორებით—დედას) ну, что, мамаша, я интересный? მიხდება ეს „ტუჟურკა“?

**კნეინა ნინო.** ძიან, ძიან! „ნასტაიაშჩი“ დემონი ხარ, გენაცვალოს დედა! ერთი მდიდარი თამარაც რომ შეგხვდეს! (ტუჩების წკაპუნით) ახ, ი...иф! прелесть! ნამდვილი რომანი იქნება!

**თავ. მიშო.** (თითებით ანიშნებს) შენ ეს მოიტა! ა...ახ, ერთი სამოცი თუმანი იყვეს! წავალ რუსეთში და მილლიონებს ავიღებ! იცი, „მოსკოვსკი კუპჩიხებს“ როგორ უყვართ შავგვრემანი ვაჟები, მეტადრე კნიაზები?! Просто, съ ума сходятъ, რაღა! ქკუიდან იშლებიან „კავკაზსკი ქნიხებისთვის!“

**კნ. ნინო.** ამბობენ, შვილო: იქაც დაცემულა კნიაზობაი, სულაც უნდა გააუქმონ ხ რისხიო?! უწინ დღე დაელიოთ, რო ახლა ეგ ლაფი არ დაგვასხან! აბა მაშინ შეგვაჯდებიან „მეკეიკები“ თავსა; ნახე იმათი სიხარული!

**კნიაჟ. თალო.** (მძიმეთ, დარბაისლურათ) ვინც რა უნდა მიჰქაროს, ეს სახელი ხო ვერ გამოგვიცვლიან?—„ღვდელს ქილობშიაც იცნობენო“.

**თავ. მიშო.** нѣтъ дудки! რუსეთში ისევ დიდი მნიშვნელობა აქვს კნიაზობას. სოციალისტების ყურს ვინ უგდებს?!

**თავ. ნიკო.** (გაზეთს დადებს) რა ვიცი, რუსეთში არა და, შარშან პარიჟშიაც იყვა, მაგრამ რო არა გამოვიდა-რა! ტყუილათ მიფშრუკე იმოდენა ფული და მობრძანდი ცარიელი!

**თავ. მიშო** (წყენით) მერე, ასეთი რა გამატანეთ, რო ეგრე ძახი?! ორმოცი თუმნით უნდა მომეტყუებინა ხალხი?! (დედას ხმა-დაბლა) онъ совсѣмъ не цивилизованный! იმდენიც არ იცის, რო „ფერისტობასაც“ ფული უნდა!

**კნ. ნინო.** ყურს ნუ უგდებ, შვილო! მაგან რა იცის, „შიკი“ და „ბონ-ტონი“ რა არის?! (ხმა-დაბლა) რაც „ოტსტავკაში“ გამოვიდა, სუ გამოყრუვდა ეგ საცოდავი! ვაი ჩემი ბრალი მაგის ხელში! (ღიღინებს) „მე ჯავრზე ეხლა ვარ“... (ამოოხვრით) ეჰ, სადღაა ის დრო, როცა კაცებს ვაგიჟებდი?! მთელი პოლკი მე მეტრფოდა!

**კნ. თალო.** (იქით) კაი რამეებს არ იკვეხის!

**თავ. ნიკო.** (შუბლზე ცოლს) რა, მოგაგონდა ძველებური?!

**თავ. მიშო.** მოიცა, დედა... (განაგრძობს) Представь себѣ: ის-ის იყო, ერთი მდიდარი ქალი ჩავიგდე... მართალია, ქმარსა ჰყავნდა და საშინელი ბებერიც იყო—ჩემზე დიდი შვილები ჰყავდა... მაგრამ ისე შეუყვარდი, ისე, რომ მთელ შეძლებას მე მიტკეცებდა! ბევრი, სიშურით, „ალფონს“-საც კი მეძახდა!

**კნ. ნინო.** რა გენაღვლებოდა! შენ კი იმის ფულები ჩაგეგდო და, ვისაც რა უნდა, მიექარა! очень нужно!

**თავ. მიშო.** მათქმევინე და! (ხელების შლით და მიხრწნილი ხმით) წავიდა აბანოში და აკი „უდარი“ მოუვიდა! ეგეც ჩემი ბედი! მწ...ა...ახ! ერთი-ორი დღე დაცლოდა!—დღეს სუ „კარეტებში“ ვივლიდი! (პაუზის შემდეგ, არხეინათ) ничего! (დედას მხარზე ხელს უსვამს) მამაშა კი ქალია! ერთ ორმოც თუმანს კიდევ მისესხებს გრიქორისგანა და...

**კნ. ნინო** (შეწუხებული ხმით). მერე, მიცემა არ უნდა?—რითი, შვილო, რითი? ეს სახლებიც ლამის მაგ წუწბლემ ჩაიგდოს!.. ხო ხედამ, წრეულ გლეხებმა რა საქმე დაგვმართეს?!

**კნიაჟ. თალო.** პა, პა, პა! სოფელიც როგორ გაირყვნა! წინათ პატივს მაინცა გვცემდენ—უძღვენოთ არც კი დაგვენახვებოდენ! ეხლა—არა თუ კატა მოუკვდებათ ხელში, პირიქით, თავზე კაკალსაც გვამტვრევენ! ბიჭო, წარყვნაა, მა რა ჯანდაბაა?!

**თავ. მიშო.** (მუშტის ქნევით) Я имъ покажу! ეხლა კი აღარავისი მეშინიან, სუ ციხეში სხედან! ავალ სოფელში და სუ ტყავს გავაძრობ! „ეკზეკუციას“ ჩავუყენებ და ერთიათათ წავიღამევ! მიცქირონ!

**კნიაჟ. თალო.** ახია მაგათზე! სახელი გაუწყდეთ „ერთობის“ მომგონთ, ჰო და აი, ასრე, რო ჩვენი მიბინარებული ცხოვრება მაგათ აურ-დაურიეს!

**კნ. ნინო.** „გაუწყდათ“ არა და, მგონი, უარესიც მოუვიდეთ! სუყველანი დაიჭირეს და ციმბირში გზავნიან!

**კნიაჟ. თალო.** (ხელებ აპყრობილი) მამაზეციერსა ვთხოვ, რო ცოცხლები აღარ გადმოვიდნენ იქიდანა! უნდა სუ დაახვრიტოთ, ან დაახრჩოთ, რო მადლი ის არი!

**თავ ნიკო.** რათა? ან ტყვიას რათ დაახარჯავდი, ან თოკს რათ გააფუჭებდი მაგ წუპაკებზე?! მათრახი და მაგათი ჯანი! გავაწვენდი და იმდონ-იმდონ მივსცხებდი, რომ ნახევარიც ვერ დაეთვალათ! მგონი, სუ ეძახათ: „ბატონ-ყმობასაც ყაბულია ვართო!“

**კნიაჟ. თალო.** იმდონი თვალი დაუდგათ მაგ უბედურებს, რო ის დრო ეჩივნათ, როცა ჩვენს მეტი მბრძანებელი არავინა ჰყავდათ!

**თავ. ნიკო.** (განაგრძობს) მაგრამ რო ჩვენვე არ ვარგივართ რო ჩვენვე, წამოვიწყეთ თავსა ვიღაც ლორები! ჯერ ძიენ ვბაქი-ვბუქობდით: თავად-აზნაურების „მილიცია“ დავაარსეთ, ნასწავლებიც კი ჩაგვერივნენ... და ერთი თვის უკან კი ყველანი შიშისგან ტუს-ტუსით გავრბოდით! შორს არ წავალ; თვითონ ეს (შვილისკენ იშვერს ხელს) ვაჟბატონი არ იყო, რო სახქაროთ ჩოხა გაიხადა, იარაღი წითელ რაზმელებს ჩააბარა და ყველა გაზეთებში გამოაცხადა: (აჯავრებს) „რადგან ჩვენი მილიცია თავის პროგრამას გადაცდაო“... (ხელის შლით) ნეტარა „პროგრამა“, რის „პროგრამა?!“ (განაგრძობს) „და რამდენიმე უსამართლობა ჩაიდინა, შავრაზმელებს თავს ვანებებ და გლეხებს ვურიგდებიო!“... წადი! ყველაზე ადრე და ძიენ ამან შემოსძახა „ერთობა“.

**თავ. მიშო.** (გაცოფებული) მაშ, თავი მომეკვლევინებინა?!

**კნ. ნინო.** გეთაყვანეთ, ეგრე რო არ ვექნა, ხო დედა-შვილიანათაც ამოგვწყვეტავდნენ! კიდევ კარგი, გენაცვალოს დედა, რომ ბოლო დროს სოციალისტობა დაიწყე, თორე დღეს ცოცხლები არ ვიქნებოდით!

**კნიაჟ. თალო.** ქა...ა...ა! სიკვდილს ჯანი გავარდეს, ვილა ჩივის,—ადამიანი მაინც ერთხელ უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი-სოფელს,—სულით-ხორცამდინ დავიღუპებოდით! ბიჭო, ვეღარც პატივით დავ მარხებოდით: აღარც ღვდელი იქნებოდა ჩვენთვინ, აღარც საყდარი, აღარც კუბო—შორს აქაურობასა! (თავ. მიშოს ცხვირს დაცემინებს) შენი ჭირი შენ სენსასა! ხელი დაჰკა, ნინო. (განაგრძობს) არც სალხი გამოგყვებოდა შიშით... უნდა დროზე დავაგდეთ და სალდათებს გავთრიეთ; (ხელებ აპყრობილი) მადლობა შენდა, უფალო, რომ ეგ დღე ამაცდინე! კიდევ მაგისი მეშინოდა, რო ბაგე-ბაგეზე ვერა ვძრამდი! ასე გუშინჯე, მოსამსახურეებსაც კი სუ „შვილო, შვილო“-ს ვეძახდი! მა რა მექნა, ქა?! სულს საეშმაკოთ ხო ვერ გავიხდიდი?!

**კნ. ნინო.** ახლა მე მკითხე! (სიცილით) ასეთი ვიყავ, რო პირველი მე ვსოციალისტობდი შიშისგან! „ბარიშნა“ რო ვყოფილიყავ, ღმერთს გეფიცები, წითელ „რუბაშკას“ გადავიცვამდი! კინაღამ კრებასაც დავესწარ! მაშა, მაშა! სამ-სამ მანეთიანებს გადავდიოდი „კამიტეტისათვის!“ ვისაც უნდა მოეწერა, კინტოს რო ეთხოვნა—„იმ აზრის ხალხისთვის ფულს ვაგროვებთ“...—თვალის დაუხამხამებლივ ვაძლევდი! გენაცვალეთ, მეტი რა გზა მქონდა? ასე ამბობდენ: თავად-აზნაურების მამალ-დედალსაც აღარ დავტოვებთო!..

**კნიაჟ. თალო.** თავად-აზნაურების ჭირი გეტაკოთ თქვენა-თქო!

**კნ. ნინო.** (განაგრძობს) ამისიან ამისი ვიყავ, იმისთან იმისი! არც წვადსა ვწვავდი, არც შამფურსა! როგორც შემესწრობოდა, ისე ვიქცეოდი!

**თავ. მიშო.** „კონეჩნო“, ყველაფერში პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი უნდა!

**კნ. ნინო.** (ქმარს) თვითონ შენ არ იყავ, რო შიშ სხან გარეთ ფეხს ვერა სდგამდი—„არა წამომცდეს რა, კომიტეტთან არ დამაბეზღონო?! მეტადრე „კაკარდა“ და „პაგონი“ ეჯავრებათო?!“

**თავ. მიშო.** (სიცილით) მართლა, პაპაშა! აღარ გახსოვს, რო შინ რუსის სალდათების სადღეგრძელოსა სვამდი და იმათ გამარჯვებას ნატრობდი, გარეთ კი სოციალისტებს აქებდი? ხა, ხა, ხა! შენც კი ოსტატი ხარ, აი! (თვალს უშვრება).

**თავ. ნიკო.** (შიშით აქეთ-იქით მიიხედავს და შეუტევს) ჩუმათ! რას მიჰქარამ?! აქ არავინ გაგიგონოს—„პენსიას“ წამართმევენ! (დაცინვით) შენი „დიპლომი“ მაცხოვრებს, მე შენ გითხრა!

**თავ. მიშო.** (წყენით, ამაყათ) საქმე „დიპლომია“?! მართალია, „კურსები“ არ დამისრულებია, მაგრამ, აბა, ერთი უნივერსიტეტ დასრულებული წამომიდგენ წინ! რაც მე ვიცი, იმათ სიზმარშიაც არ უნახავთ! ის საცოდავები

— საზოგადოთ გურიაში ლაშქრამ იმატა, ოზურგეთის ციხეში ტუსაღთა ტევა აღარაა. ადმინისტრაციამ, გარდა არსებულ ციხისა ერთი შენობა დაიქირავა, ამ ახალ სატუსაღოში 60 ტუსაღია.

— იმ გამოქცეულ სალდათებთაგან, რომლებიც ადმინისტრაციამ შეირიგა და რომლებიც თავისი ნებაყოფლობით უნდა წასულიყვნენ დანიშნულ ადგილზე, ეხლა დაიჭირეს 28 კაცამდე და ციხეში ჩასვეს.

— ს. ქალიაზე 15 აგვისტოს, ხანგრძლივი პროპაგანდა გასწია „მამა" მელ. ნაკაშიძემ. ილაპარაკა დღევანდელ მთავრობის „სამართლიან" მოქმედებაზე, ქრისტეს მოძღვრებაზე, „წმინდა გიორგის" მოგზაურობაზე. ამბოხება-არეულობაზე (რომელიც ურიების გამოგონილია,—არწმუნებდა ხალხს). დასასრულ „კრიტიკის ქარ-ცეცხლში" გაატარა ს.-დემოკრატიის მოქმედება და მარქსის მოძღვრება. როგორც ამბობენ „მამა" მელქისედექი მარქსის კაპიტალის კრიტიკას სწერს და მალე გამოაქვეყნებსო.

პ—ესი.

—

**ჭიათურა.** უდგედ დღე ამბები მოგვდის რუსეთის სხვა და სხვ. კუთხიდან: ხოლერა გვიახლოვდება და ძლიერდებაო, მაგრამ ყურსაც არ იბერტყენ ისინი, ვისაც ჯერ არს. ამას წინათ აქ ჩამოვიდა ექიმი, რომელიც დანიშნული იყო დ'ბის სანიტარული მდგომარეობისთვის თვალყური ედევნა. ჩამოვიდა, ერთი ათ-არ-ჩამოიარა, შემდეგ თავი გაიქნია ნიშნათ იმისა, ვითომ აქ არავითარი საფრთხე იყოს ხოლერის მხრივ, თუმცა იმდენი სიბინძურე, რაც ჭიათურაშია, ძნელათ თუ სადმე მოიპოვება. ბაზარში დანიშნულია მთავრობის მხრივ „ბაზარნიკი", მაგრამ არც იმას სცალია ამისთვის; ის უფრო „სოციალისტებს" დასდევს.

აგერ თვეზე მეტია, რაც აქ ელექტრონით განათების საქმე მოთავდა; ორ-სამჯერ კიდეც გაანათეს დაბა, მაგრამ შემდეგ მიანებეს თავი.

**წარსულ** კვირას შედგა შავი ქვის მწარმოებელთა კერძო კრება. განსახილველი იყო მაღნებში რკინის გზის გაყვანის პროექტი. კრებაზე ორნაირი აზრი გამოითქვა: ზოგი რკინის გზის გაყვანას ამჯობინებდა, ზოგი კი „სუუკს". დიდი ხნის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით გადაწყდა რკინის-გზის გაყვანა. გადაწყვეტილების პირი გაეგზავნა

ქუთაისში სიუზის გამგეობას ხილველათ და დასამტკიცებლათ.

გუშინ ღამ ვიღაც უცნობებს ჯერ სასიკვდილოთ ეცემათ ს. კუხის მცხოვრებ ივ. გაგაბაძისათვის; შემდეგ გაუხსნათ თუ რამ ქვეყ, და ხრამში გადაუგდოთ.

ყიყლოურელი კარია.

## პარტიების ცხოვრებიდან

—

რ. ს. დ. მ. პ. ცენტრ. კომიტეტმა გადასწყვიტა გააძლიეროს აგიტაცია დუმაში მონაწილეობის მიღების შესახებ და შეადგინოს საგანგებო საარჩევნო კომისია მთელი საარჩევნო მუშაობის გასაერთიანებლათ. ასეთი კომისია უკვე არჩეულ იქნა. შიგ შევიდა სამი კაცი, მათ მიეცათ კოოპტაციის უფლება. აგიტაციის გასაძლიერებლათ გადაწყვეტილია, საგიტაციო ფურცლებს გარდა, გამოცემულ იქნას ცენტრალური ორგანო. არჩეულ იქნა ცენტრ. ორგანოს რედაქცია.

—

22 აგვისტოს მოხდა პეტერბურგის ს. დ. ორგანიზაციის ფრანკო-რუსკი რაიონის კრება. სულ დესწრო 25 კაცი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაციის შეფერხება და მუშათა სულიერი განწყობილების მიდუნება აიხსნება მხოლოდ მათი ხშირი გადასახლებით და მასიური უმუშევრობით. მუშათა შეგნება კი სულ უფრო იზრდება და მაგრდება. უკანასკნელ ხანებში შენიშნულია ძლიერი მისწრაფება პროფესიონალურ კავშირების და კოოპერატივების ორგანიზაციისაკენ. ამას წინათ გამოშვებულმა ფურცელმა დუმის შესახებ დიდი სიმპათიური გავლენა იქონია საარჩევნო კამპანიას ზავოდებში: მუშები ათობით მიეშურებიან საარჩევნო სიებში ჩასაწერათ. კრებამ გადასწყვიტა გააძლიეროს საზავოდო კომიტეტების მოქმედება და, რაც შეიძლება, ხშირათ გამოუშვას ფურცლები.

—

ქ. პოლტავაში შედგა **საარჩევნო ბიურო**, რომელიც იმოქმედებს არჩევნებამდის და არჩევნების შემდეგაც. ბიუროში მონაწილეობას იღებენ ბუნდი, უკრაინის სპილკა და რ. ს. დ. მ. პ. ამ დღეებში ბიურომ პოლტავის მიდ მიებში გამართა მიტინგი, რომელზედაც მრავალი მუშები დაესწრენ და კამათობდენ საარჩევნო ტაქტიკის შესახებ.

—

**ბალტიის მხრის სოციალდემოკრატები** უკვე შეუდგენ საარჩევნო კამპანიის მოწყობას. დაარსებულია კარგა ბლომათ სარაიონო საარჩევნო კომიტეტები, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ ცენტრალურ კომიტეტს. უმთავრესი ყურადღება მიქცეულია აგიტაციაზე მეორე კურიის ამრჩეველთა შორის. ამ კურიაში თითქმის ორჯერ მეტი ამრჩევლებია და ყველა ისინი, თითო-ოროლას გარდა, სულ მემარცხენე პარტიებს ეკუთვნიან. სოც.-დემოკრატების გამარჯვება ძალიან საიმედოა, მით უმეტეს, რომ დანარჩენი პარტიები სრულიად არას აკეთებენ არჩევნების წინ.

—

**ფინლიანდიის სოც.-დემ. ფრაქციას** შეაქვს სეიმში წინადადება უმუშევართათვის სახელმწიფო დახმარების მოწყობის შესახებ, რომელთა რიცხვი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ძლიერ გაიზარდა. წინადადება შეიცავს მოთხოვნილებას, არჩეულ იქნას კომისია უმუშევრობის შესახებ, მოწყობილ იქნას საზოგადო სამუშაოები სახელმწიფო ხარჯზე, დახმარება მიეცეს იმ პირთ და დაწესებულებათ, რომლებსაც უკვე მოუწყვიათ საზოგადო სამუშაოები, და დაზღვეულ იქნან მუშები უმუშევრობისაგან.

—

**სოც.-რევ. პარტიის მოსკოვის ჯგუფი** ამ ჟამათ ორ ნაწილათ გაიპო: ერთი გადაჭრით მოითხოვს დუმის სრულიად უყურადღებოთ დატოვებას. ეს მარცხენა ფრთა ამტკიცებს—პარტიის ვალია, გაურკვიოს ხალხს დუმის ყველა ნაკლულევანება და მისი სრული უვარგისობა პოლიტიკურ თავისუფლების უზრუნველსაყოფლათო. მარჯვენა ფრთას სახ. დუმა მიაჩნია სოც. რევ. პარტიის აზრების გასავრცელებელ ტრიბუნათ. კამათი ცხარეთ წარმოებს და შეთანხმება ძნელი მოსალოდნელია.

—

22 აგვისტოს მოხდა **შრომის ჯგუფის** პეტერბურგის კომიტეტის ხხდომა. გადაწყდა დაუყოვნებლივ შეუდგენ საარჩევნო კამპანიის მოწყობას. ამასთან გადაწყდა დაუყოვნებლივ გამართონ მოლაპარაკება სოც.-დემ. და სახალხო პარტიასთან მემარცხენეთა ბლოკის მოწყობის შესახებ.

— კრემენჩუგში ბუნდის და რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეადგინეს **საინფორმაციო ბიურო**, რომელიც იმოქმედებს მთელი საარჩევნო კამპანიის დროს.

# რუსეთის ამბები

## საარჩევნო კამპანია

ოდესაში საარჩევნო სიებში შეუტანიათ სულ 23.000 კაცი, იმის ნახევარი, რაც შარშან იყო. საუყურადღებოა, რომ მემარჯვენეებს ყოველნაირათ თავიანთი ჩვეულებრივი გუდმოდგინეობისათვის და სულ არ შეუტანიათ სიებში თავიანთი მომხრე ამრჩევლები, რადგან დარწმუნებულნი, რომ უეჭველათ დამარცხდებიან.

გრაფ ბობრინსკის აგიტაცია. მე-2 დუმის დეპუტატათ ნამყოფი გრ. ბობრინსკი ამ ჟამათ დადის თურმე ტულის გუბერნიაში და გახურებულ აგიტაციას ეწევა მემარჯვენეთა საარჩევნო კრებებზე. ამ კრებებს გარდა გუბერნიაში არავითარი საარჩევნო აგიტაცია ნება დართული არ არის და მცირეოდენი ცდაც კი სასტიკათ ისჯება. 17 აგვისტოს ქალ. ეფრემოვში ქალაქის თავს და თავად აზნაურთა წინამძღოლს ყველა ამრჩევლებისათვის უწყებები დაუგზავნიათ მობრძანდით საარჩევნო კრებაზეო. დანიშნულ დღისათვის მოვიდა ბობრინსკი და სადგურზე მას ისპრავნიკი დახვდა სტრაჟნიკებით. როცა ბობრინსკი საარჩევნო კრებაზე მივიდა, თავმჯდომარემ (თავად-აზნ. წინამძღ.) განაცხადა უწყებაში შეცდომით ნათქვამი იყო „საარჩევნო კრება", ნამდვილათ-კი ეს კრება მემარჯვენეთა კრებაა. ამ განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია პროგრესიულ ამრჩევლებ შორის და წავიდენ კიდეც ისინი კრებიდან. ბობრინსკიმ კრებაზე დიდხანს ილაპარაკა, ილაპარაკა გლეხების განთავისუფლებაზე, „მოღალატეებზე—კუტლერზე, დოლგორუკოვზე და სხ. და იწოდებდა დამსწრეთ—შეერთდით რევოლიუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველათ, რომლებიც „უნდა გაგვანადგურონო" ჩვენთა შორის, ბობრინსკიმ ილაპარაკა-ჩინოვნიკების შესახებ, რომლებმაც რუსეთი დაასნეულეს, აშკარა იყო, სახეში უყვდა კონსტიტუციონურ კანონების შემადგენელი ჩინოვნიკები. როცა კრებაზე დამსწრენი შინ ბრუნდებოდენ, გზაზე თავს დაესხენ ორ ადგილობრივ ჩინოვნიკს, და უთითებდენ რა მის კაკარდაზე, გაიძახოდენ: „აი რუსეთის დამხრობი ჩინოვნიკიო!" მხოლოდ პოლიციის გამოსარჩლებამ გადაარჩინა ჩინოვნიკი უსიამოვნებისაგან.

ბერძის საარჩევნო აგიტაცია. პოდოლის სამების ძმობამ გამოუშვა ბალტის ეპისკოპოსის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო მოწოდება, რომელიც სავსეა პოდოლელების და ებრაელების ლანძღვით—„ესენი რუსეთს წოვენ და გლეჯენ, მისი სისხლით უნდათ გაძღნენო". სამღვდელოებას უბრძანებენ—რუს მემამულეებს დაუჭირეთ მხარიო.

„ჭეშმარიტ რუსების" თარეში ოდესაში. ეს ორი წელიწადია ქ. ოდესაში „ჭეშმარიტი რუსები" თითქმის განუწყვეტლივ იგლეჯენ მცხოვრებთ, განსაკუთრებით არა-რუსთ. ამ დღეებშიაც ეს ვაჟბატონები დარევიან ებრაელებს და სულ მუსრს ავლებენ. აი რას ატყობინებენ დეპეშით გაზეთებს: რუსის ხალხის კავშირის წევრები კვლავ განაგრძობენ ქუჩებში გამვლელების ცემა-ტყეპას და რევოლვერების სროლას, ბირჟა დაიხურა ვაჭრები აღარ ენდობიან ადმინისტრაციის დაპირებებს. უკანასკნელ დღეების ამბების გამო კავშირის საბჭომ გამოაქვეყნა გაზ. „მეფისა და სამშობლოსათვის"-ში მოწოდება ებრაელების მიმართ. თუ ამათ სურთ დაიცვან თავიანთი პირადი და ქონებრივი უშიშრობა და თვითონ აიშორონ მოხალოვებული უფლად დამღუპველი თავდასხმა, ამისათვის წაიღადენ ქლევათ სარქართ და საქვეუნოთ მთიანი თავიანთი ცოდვები. თავი მოიყარონ სინაგოგებში მასწავლებლებთან და რაბინებთან ერთათ და აქ საჯაროთ დაწყევლონ არეულობის ყველა მეთაურები და განსაკუთრებით მისი სულის ჩამდგმელი ებრაელთა ინტელიგენცია, დაივიწყონ აუსრულებელი ოცნება უფლებათა თანასწორობაზე და მსოფლიო ბატონობაზე, და შეადგინონ კავშირი შეურყეველ თვითმპყრობლობის დასაცავათ.

სუ წიგნს ჩასცქერიან (აჯავრებს) „ბაბე-ბუ"... და მეტი არაფერი!

**კნიაჟ. თალო.** თუ ნასწავლები არიან, ჰკუიდან რაღათ ირევიან, გადარიოთ ჩემმა გამჩენმა?! ქვეყანას რაღათ ამტუტებენ?!

**კნ. ნინო.** შენ ეგა თქვი! არა, გეთაყვა, არც სწავლა მინდა, არც მაგისთანა შვილები! ყველა სტუდენტი ქვეყნის ამომგდებია! ახლა ვინ არ ათავებს უნივერსიტეტსა?! გლეხებს დარჩათ მოედნი! იმათი ბიჭები დაბძანდებიან „ზნაჩოკებით"! თავში ქვა იხალონ, არც სწავლა მინდა, არც სოციალისტი შვილი, ოღონდ ჩვენ ქერქში დაგვადგნენ!

**თავ. მიშო.** რათა, ი სოციალისტები მე არ მოვატყუე?! (თვალს უშვრება) ჰმ! еще какъ! (ხმა დაბლა) გახსოვს, იარაღი რო ჩავაბარე?.. ხო და, ისე დავუმეგობრდი, რო ყველაფერი გავიგე და აკი სხედან! ხა, ხა, ხა! „შტუკა ვერ ვუყავ! ზოგი—მე, ზოგიც—ადამშვილმა და довольно!

**ყველანი.** (შიშით აქეთ-იქით მიიხედავენ) სს!.. შშ!.. არავინ გაიგონოს!.. არ დასმინდეთ!.. მოგვკლავენ!.. ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა ხდება, ვისკენ იყვეს ძალა?.. აგერ, ახლაც გზები შეკრულია... თურმე დიდი არეულობაა რუსეთში.. თფილისშიაც... ფრთხილათ!

**თავ. მიშო.** (არხეინათ) მაგისი დარდი ნუ გაქვთ! მე ისე გავაკეთე საქმე, რო ეხლაც მეგობრათა მთვლიან! ეგენი კი პრისტავობას დამპირდენ... (ამაყათ) მაშ! ბიჭი ვერა ვარ?! (თვალს უშვრება) ЛОВКО, НѢТЪ? (ისმის ზარი).

**კნ. ნინო.** (წამოდგება) ჰოვიდნენ ჩვენი სტუმრები, მოვიდნენ! წადი, შვილო მიეგებე, მე სანამ ჩაის დავამზადებ (თავ. მიშო გარბის, კნ. ნინო ფუსფუსებს).

(ფარდა).

—

სურათი II.

ფარდა აიხდება ასლანბეგაძეთ „სტოლოვოიში". ღამის თერთმეტი საათია. გრძელ სტოლს, რომელზედაც ალაგია სხვა და სხვანაირი ტკბილეულობა, შემოსხდომიან მასპინძლები და მათი სტუმრები.

გამოსვლა 1.

თავ. ნიკო, თავ. მიშო, კნეინა ნინო, კნიაჟ. თალო, კატო, გრიქორ სტეფანიჩი, ანანა, ვასო ზარბაროვი (გულზე „ზნაჩოკით") ადიშვილი და ტასო.

**კნ. ნინო.** (სთავაზებს სტუმრებს) მიირთვით, გენაცვალე, მიირთვით! რა თხოვნა გინდათ—შინაურები ხართ.

**კატო.** (ხუმრობით) ღმერთი გამიწყრეს, თუ შინაურულათ როდისმე „პეროჟნი" მეჭამოს! (ყველანი იცინიან).

**ანანა.** (ხუმრობით—კოკოლით) უი! შენ კი ამოვარდი, ახაანდე!

**კატო.** რას მერჩი, ამოვარდი! „პეტერბურგში" რას იტყვიან, მე რო მოვკვდე?!

**ზარბაროვი.** (ხუმრობით) ტრუბეცკოისეებ გაგლოვებენ!

**გრიქორ სტეფანიჩი.** (ტაშის შემოკვრით) ჰა, ჰა, ჰა! რა ამბით დაუმარხიათ და! ჯერ მარტო „ვენოკები" რა დაუჯდებოდათ! ამბობენ: პირველი „საცვიალისტი" ეგ იყოო! Гаварайтъ всо онъ минаватъ на эта бунтъ!

**კნიაჟ. თალო.** ხო და, რაც ადრე და მალე გილაგდებიან მაგისთანა ხალხი, მით უკეთესი! სიცოცხლე იყო მაგათგან ჩამწარებული! ღმერთიც უშველის, ვინც ეს „ნაჩალნიკი" გამოგვიგზავნა! ამან მოუგრიხა მაგათ კისერი!

**ანანა.** არა, ქა, ქალებიც რო მარაქაში ერევიან! (ქოქოლით) ოჰ! მეხი კი ჩავათხლიშე ი უნამუსო თავებში!

**კატო.** (დაცინვით) მაშა, ქა! ისინიც „სოსია მეკრამიტეები" ბრძანდებიან! ასეთია, ხორ-ხორი გაუდით ციხეში! (ისმის ხმები: „წმინდა წყლისანი იქნებიან და ამიტომ! ქვას ქვეშ მაგისთანა ქალები! ქარ-მეხი დაეცეთ! ჩემი რო იყვნენ, ზედ შუაზე გავგლეჯავდი"!).

**ტასო.** (დაცინვით) რა ჰქნან საწყლებმა,—გათხოვდებიან მაინცა!

**კატო.** (ორაზროვნათ) გათხოვება რათ უნდათ ქა?!—ყველაფერში „ერიოზაა"!

**ანანა.** (ჩქმეტით) უი, შე არ დასარჩენო, შენა! უხ! ღმერთიც გიშველის გაგვაცინე! (კავების გრეხით) ი...ი...იჰ, გენაცვალეო! ძლივს ისევ არ გვღირსა თვალის გახელა! ამ არეულობებისგან ადამიანი ადამიანთან კი ველარ მიდიოდა და! დავნატრულდი ჩვენ ჩაცუცუნებულ „ლოტოს"! (ისმის ხმები: „მეცა, მეცა, შენ არ მომიკვდე! დაჩვეულობა რას ნიშნავს?! რაკ მე მაგათა ვწყევლიდი!")

**კატო.** ქა, თანაც რო კანცლამ „ნალოკი" დაგვადეს! ვინც ქალიდს ითამაშებს, ამდენ-ამდენი უნდა გადაიხადოს „კამიტეტისთვისაო"! (სიცილით ჩაჰკრავს ანანასა) უჩურჩულეთ ანანასა! სუ „ასიგნაციებს" არ გადაუწყობდა!

**ანანა.** ეხამათ შეერგოთ!—ისე კი ცოტა წაგვართვეს?! (ხმები: „მაშა, მაშა! სამყოფი არ აგროვეს?!")

**თავ. ნიკო.** მამა უცხონდებათ, არც ერთ თუმანს ჩ იქისავდნენ ჯიბეში! სახელი სხვისა იყო, სახრავი თავიანთი! ხმები: „იმდონი იცოცხლე! მაშ არა და მართლა ხალხის ძვლები ადგათ"!

**გრიქორა.** თვითონ ი „ასისთაველმა" კი ხელი დაიწვეს, ცოტა იჩურჩულეს?! ყაჩაღი—საოკეები! არა, რომელი „სუდიაპროკურორები" იყვნენ, რო ხუთას-ექვსას თუმნის მამულზე ხელი დამიანინეს და თანაც „შტრაფი" გადამახდევინეს?! (ყველანი სიცილით ამბობენ: „საწყალი გრიქორა") „არმათა გაქვს შეძენილი—ვისიც არის, დაუბრუნეო"... კაცო! თუ კი არამი იყო, მაშ „სუდმა" და „პალატამ" რაღათ მომანიჭა?! როდ ს ხნის დავიდარაბა მეორეთ გადაჩხრიკეს და... პუპლუს! პირიქ-რიელი დამსხეს! არ მიკვირს?—ისეთ ალაგას მომასწრებდნენ, რო, მგონი ზარებაც ველარა მღრიან-გოდა!

**ყველანი** (პანს აძლევენ) მაშა, მაშა! კიდევაც ეგ არის ცაცხლი!

**ანანა.** (კავების გრეხით) ი.. ი... იჰ, გენაცვალეთ! რას ბძანებთ! გავტყავდით, რაღა, გავტყავდით! კიდევ კარგი, რო პირში სული შეგვარჩინეს! უნდა საწირავი დაუკლა წმინდა გიორგის, გენაცვალე იმის მადლსა! (სხვებთან ერთათ, პირჯვარს იწერს) ამ ზაფხულ შეუთქვი—ოღონდ ქვეყანა დაწყნარდეს მეთქი! (ისმის ხმები: „მეცა, მეცა! მე ქედალა მყავს მზათა! მე სანთლები გადავდე! ავიდეთ, ვილოცოთ!).

**ზარბაროვი.** (სიამოვნების ნიშნათ, ხელების სრესით) ну-съ, ეხლა კი, რაც ჩვენი საწყალი პატარა ქალაქი наконецъ-то დამშვიდდა, შეგვიძლიან ძკელებურათ ვიქეიფოთ, არა, გრიქორ სტეფანიჩ? ქუდი ჰერში ეკრათ! ხა, ხა, ხა! (თვალს უშვრება და—თითის ქნევით) ვიცი, ვიცი, რომ იმ ხალხის დაჭერა ყველაზე ძიენ თქვენ გიხარიანთ!

**გრიქორა.** აი, ეგ საცამპიროები, ეგენი! Павѣшвитъ нада эта сацвіалистъ—мерзавица! (ყველანი იცინიან).

**ანანა.** (შიშით აქეთ-იქით მიიხედავს და კალთას დაიწევს სსუ... უ, კაცო, სსუ... უ!.. ჩუმათ!.. არავინ გაიგონოს!

**გრიქორა.** (არხეინათ) ვიღა არის, ვინ უნდა გაიგონოს?! როგორც ნაგავს, ისე მოუსვეს ხელი! ვერ გადახდათ ჩემი ცოდო?! ღმერთს სამართალი არა ჰქონდა?! ასეთ ღრუბერნიაში უკრეს თავი, რო მგონი, თავის დღეშიაც ველარა ნახონ აქაური ხაერი! ვენაცვალე ყაზახებსა! იმ თმა მარჯვენამ იხაროს! მართალია, არც ისინი მაყრიან ხეირსა—დუქნებს მიკლებენ.. მაგრამ რათ მიღირს, რო „სლაპოდნათ" ამოვისუნთქე! ეხლა, მინდა ამ „პრიკაზჩიკს" გავაგდებ, მინდა—იმას! ჩემი ურჩი შვილიც არ მეკნაჭება! როგორც მექეიფება, ისე გავცვლი ფულსა! ჩემ სარჩოსთან ვის რა დავა აქვს!? ავიდე სოფელში!—ჯერ საზანდელი სარგებელიც არ მიუციათ! „ზეკუციის" სულხი ვაჩვენო! მგონი, თვითონვე მიბეგვონ ი „ერთობის" მომგონნი! (ყველანი ამბობენ „ოხ! ნეტა არ იქნემა!")

**ზარბაროვი.** (სავსე სტაქნით) მაშ „ალლავერდი" თქვენთ ნ! ეს ღმერთმა ის აცოცხლოს, ვინც ეს არეულობა დაამშვიდა!

**ყველანი.** (აღტაცებულნი) ამინ! ამინ! დიდი განძი ეკუთვნის ჩვენგან იმას!

**კატო.** ამინ და კრიანოსალი! (ვითომ ხუმრობით) არეულობა რომ არ ჩამქრალიყო, ხო აქაც ვერ მოვიდოდი და სამ აბაზს ვერ მოვიგებდი! ღმერთიც უშველის ახალ „ნაჩალნიკსა".—ხორცის ფული გამიჩინა! (ყველანი იცინიან)

**ზარბაროვი.** (ვითომ ხუმრობით) მეც კი საქმე მომივიდა—ხუთი მ.ნათი ჩავიქ სე! ხა, ხა, ხა! ვითომ ავათმყოფთან ვიფიცვარ—ორი „ვიზიტის" ფულია. Ничего, и то хлѣбъ.!

**კატო.** (ჩუმათ—ანანას) რა ჰქნას საწყალმა, დახამეულია „პრაქტიკას"; რომ არავინ იწვევს; ყველას აპარჰიკებს! მუცლის გვრემას ტვინის ანთებას ეძახის!

**ანანა** (აგრეთვე ჩუმათ) რა იქნება, ქა?! ერთავათ ქალებში ზის და ჭორაობს! ლოტოშიაც რო ჩაერევა ხოლმე! იჰ, მეხი ჩავათხლიშე მაგი დოხტურიასასა! „ზნაჩოკსაც" რო არ იშორებს გულიდანა! ფიე! (ორივენი ჩუმ-ჩუმათ კასკასებენ).

**კნ. ნინო.** ეს კი სუ იმ „ილიუზიონი" ბიჭ-ბუჭების ამბავი იყო, აი!

**კატო.** „კაზიროკ ბიანისა!" სუ ჯგუფ-ჯგუფათ ისტუმრებენ! გუშინაც გუშინაც დაიჭირეს მთელი ხროვა! (ისმის ხმები: „ახია, ახი! ევრე უნდა, ევრე! ესეც და აჭერია—გაზეთში სწერს! ის ხო „პროტესტანტია"— იმ დღეს „ნაჩალნიკს" ქუდი არ მოუხადა! ამას ხო სუ წითელი „ბუზი აცვია!").

**კნიაჟ. თალო.** არა, ღმერთმანი, მაინც რა მინდათ? უფროსი უნდა გადმოსვან და თვითონ დაჯდნენ ტახტზე?! (ხმები: „ღმერთმა ნუ დაასწროთ! სანამ ნურა ჰამონ-რა! რუსეთში ბევრი ჯარია: მის ამარას თავიანთ ქერქში ეყარონ თორე...ე...ე!").

**გრიქორა.** კაცო, სუყველაფერი ხო ერთბაშათ არ იქნება?! ჯერ-ჯერობით ხო გულის წადილი აგვისრულეს: „გასუდარსტვენი დუმა" დანიშნეს... მოსავალს მოკლა უნდა! მაგათ ყველაფერი ფეფელეფე ერთ დღეს უნდათ.

**კნიაჟ. თალო.** „წამწყმენდა წახდენილობამაო!" მაგათ მიხედვით რო პატარებიც უარესსა სჩადიან! თურმე აღარც ისინი სწავლობენ!

**ანანა.** მაშ, გენაცვალე, მაშ! ერთიერთმანეთსა ჰპაძავენ, თორე ჩემმა უსუარმა შვილმა რა იცის „ბუნტი" რა არის?! ეს მეორე წელიწადია, ამაოთ ვაძლევთ გიმნაზიაში ფულსა. ი...ი...იჰ, რას ბძანებთ! რაც ჩვენ ზარალი მოგვივიდა... (აქეთ იქიდან ხმები: „ჩვენა, ჩვენ კი არა?!")

**კატო.** აგერ ჩემი დაწყული კი არ არი, რო ფეხით მოვიდა ქალაქიდან. სწავლა რო არ არი, რა! შკოლებიც „ზაკრიტია", ჩაკეტილია.

**გრიქორა.** (აღშფოთ) რას ამბობ, კაცო, დავღუპეთ რიდ! Пагубайтъ, савсэмъ пагубайтъ! ყელი გამოსჭრა ამ

ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში ხოლერა გაჩნდა და მრავალი მსხვერპლი მიაქვს თან. შეძლებისა დაგვარათ ადგილობრივი ძალები ებრძვიან ამ სამინელ სენს, მაგრამ მთავრობის მხრივ დახმარების მაგივრათ მათ დაბრკოლებას ეძლევათ ხოლმე წ. ნ. აი, მაგალითათ, სამარის გუბერნიაში როგორი შემთხვევა მომხდარა. რადგან შეუძლებელი შეიქნა თითეოულ დასახლებულ ადგილში მუდმივი ექიმი და ფერშალი იყოლიონ, ამის გამო სამარის ერობას დაუარსებია „მფრინავი სახოლერო რაზმი". ერთი ასეთ რაზმთაგანი, რომელიც ხოლერით ავათმყოფთა დასახმარებლათ მიეშურებოდა, გზაში პოლიციის ურიადნიკს დაუჭერია, ამის გამო რაზმი დანიშნულებისამებრ ვეღარ მისულა და ერთი ავათმყოფი ქალი კიდეც მომკვდარა. რაზმის დაჭერას ჩვეულებრივი უსიამოვნებანი მოყოლია თან და სხვათა შორის ერთი მის წევრთაგანი (სანიტარი ქალი) კარგათ გაუმათრახებიათ.

პოლიცია „ჯაჭვის პერანგებით". მოსკოვის პოლიციის ყველა პრისტავებს და მათ თანაშემწეებს დაურიგდათ მოკვლისაგან უზრუნველ-საყოფელათ ტყვია-გაუვალი „ჯაჭვის პერანგები" და ქუდები.

სოფლებით. კიევის და პოლტავის გუბერნიებიდან სწერენ გაზ. „ტოვარიშჩს", რომ იქ ყველგან მეტის-მეტათ გახშირებულია თავდასხმა, მკვლელობა და ექსპროპრიაცია. ხოლო თავდამსხმელებს კი ყველა ეს უწესოებანი ძალიან ფართოთ იკიდებს ფეხს: იტაცებენ პურს, ცხენებს, ქათმებს; ყველაზე უფრო ხშირათ კი უკიდებენ ცეცხლს, და არა მარტო მემამულეებს და მდიდარ გლეხებს, ღარიბებსაც კი. ამას გარდა, მარტო ერთ მაზრაში სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მოხდა 25 მკვლელობა, უმეტეს ნაწილათ პოლიტიკურ ნიადაგზე. ხოცავენ წვრილ მოხელეებს: ურიადნიკებს, სტრაჟნიკებს, მამასახლისებს, უფრო ხშირათ კი მაბეზღრებს და აგენტებს. და ყველგან ასეთ ადგილებში, განსაკუთრებით კი მსხვილ მიწათ-მფლობელობის რაიონებში, ჩაყენებულია სტრაჟნიკების, კაზაკების და დრაგუნების რაზმები. ასეთ პირობებში რაიმე გულდადებული მუშაობა მეტათ გაძნელებულია და, სხვათა შორის, საარჩევნო კამპანიაც სუსტათ წარმოებს. მხოლოდ შეგნებული გლეხები გულმოდგინეთ ამყარებენ კავშირს პარტიულ ორგანიზაციებთან ქალაქებში, რომლებიც მათი შემწეობით აწევენ სოფლათ მუშაობას ვიწრო ფარგლებში, ავრცელებენ იქ ლიტერატურას და ხან და ხან მართავენ კრებებს, მაგრამ ქალაქელი კაცის სოფლათ გამოჩენა თითქმის ყოველთვის გაჩხრეკს და დაჭერას იწვევს და ამის გამო გლეხები ხშირათ თხოვენ პარტიულ მომუშავეებს—ნუ მოხვალთ სოფელშიო. სადაც კი მოსახერხებელი ხდება, იქ საქმეც უკეთესათ კეთდება. საკმაოთ ნაყოფიერათ მუშაობენ „სპილკის", „უკრაინის ს. დ. მ. პ.-ის" და „სოც. რევ." პარტიის ორგანიზაციები. მაგრამ ეს უმთავრესათ აიხსნება იმით, რომ ბევრ სოფლებში პარტიულ ორგანიზაციებს კაი ხანია ფეხი მოუდგამთ და ამას გარდა გლეხებიც საკმაოთ შეგნებულ-შეკავშირებული არიან. შესანიშნავია, რომ ასეთ სოფლებში მუშაობაც ნაკლებათაა და მკვლელობა-ცარცვა გლეჯა ხომ თითქმის სულაც არაა. ათას დამაბრკოლებელ მიზეზების მ უხედავათ ადგილობრივი მემარცხენე ორგანიზაციები ბევრგან საკმაოთ მხნეთ ეწევიან საარჩევნო კამპანიას და სიცოცხლე შეაქვთ სოფელში, აღვიძებენ მას პოლიტიკურ ცხოვრებისა და შეკავშირებულ ბრძოლისათვის. განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს სპილკა (უკრაინის ს.-დ. კავშირი) და უკრაინის ს.-დ. მუშათა პარტია. უკრაინის ს.-დ. რამდენიმე საგლეხო კონფერენცია გამართა. მზადდება კიდევ მთელი რიგი ასეთ კონფერენციებისა. გლეხების დამოკიდებულება არჩევნების მიმართ სხვადასხვა გვარია. ზოგან ადგილი აქვს შეგნებულ ბოიკოტს, ზოგან-კი ნათლათ შეგნებული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის საჭიროება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

### რუსეთი.

2 სექტემბერი.

**კისლოვოდსკი.** კურზალში, საღამოს რვა ხათზე, 1 სექტემბერს საალხისა და მოსამსახურეების თვალწინ სასიკვდილოთ დასჭრეს კურზალის გამგე გაბუნია. პირბადე აფარებული მკვლელი მიიმალა კურზალის პარკში.

**ჩატა.** დღეს, დილით, დასჭრეს როტმისტრი პოკროვსკი.

**კიევი.** დაბა ბელაია ცერკოვში თავს დაესხენ ორ პოლიციელებს, ორი მძიმეთ დასჭრეს, ერთი—მსუბუქათ.

**ქუთაისი.** 1 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე თეატრის პირდაპირ მოკლეს პოლიციელი.

**კალიში.** 1 სექტემბერს, საღამოს სოფ. რუსოცში გაძარცვეს სახაზინო ღვინის დუქანი. ბოროტგამზრახველებმა დასჭრეს საერობო დარაჯი და გაიტაცეს 110 მანეთი.

**ომსკი.** 1 სექტემბერს, საღამოს, პეჩენინის კანტორაში, იმ დროს, როდესაც მუშებს ჯამაგირებს ურიგებდენ, შევარდა 7 მძარცველი, ასტეხეს სროლა, დასჭრეს მუშები და გაიტაცეს 6800 მანეთი. მათ გამოედევნენ. ბოქაულმა შეიპყრო სამი მათგანი, ერთ გიმნაზიელის ფორმაში. დანარჩენები ფულიანათ მიმალენ.

**ვიატკა.** გუბერნია საშიშოთ გამოაცხადეს ხოლერის გაჩენის მხრით.

**პეტერბურგი.** ნიჟნი-ნოვგოროდში 1 სექტემბერს ხოლერით ავათ გახდა 8, მოკვდა 6; გუბერნიაში ავათ არის სულ 45. ასტრახანში ავათ გახდა 20, მოკვდა 13, ფოროსტში ავათ გახდა 6, მოკვდა 4, მაზრებში ავათ გახდა 31, მოკვდა 16.

3 სექტემბერი.

**ვლადივასტოკი.** 1 სექტემბერს განაახლა მოქმედება ახლათ დაარსებულმა იაპონიის საელჩომ.

**სმოლენსკი.** სიფხიზლის საზოგადოების სახალხო სახლში დაიწყო ლექციების კითხვა, რომელიც მოაწყო ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებამ.

**ვარშავა.** 1 სექტემბერს, საღამოს, უცნობი ახალგაზდა კაცი თავს დაესხა გრაფ ზამოისკის, რომელიც რკინის გზის სადგურისკენ მიემგზავრებოდა. გრაფმა მოჰკლა თავდამსხმელი.

**კრასნოიარსკი.** კრასნოიარსკიდან ასი ვერსტის მოშორებით უცნობნი თავს დაესხნენ ფულების მიმტანს და საერობო დარაჯს და ორთავენი მოკლეს. ფულები უვნებლათ გადარჩა.

**ბელოსტოკი.** კაფელნის ქუჩაზე ორმა ბოროტგანმზრახველმა ექვსი ტყვიით მოკლა ვ. ჩერკას ქარხნის გამგე დუშევსკი.

**ადესა.** 1 სექტემბერს, ღამით, მოლდავანკის რაიონში მოჰკლეს პოსტზე მდგომი უბნის ზედამხედველი. იმავე რაიონში დასჭრეს საიდუმლო პოლიციის აგენტი. დააპატიმრეს რამდენიმე საეჭვო პირი.

**ტაშკენტი.** აღმოაჩინეს ყუმბარების საწყობი და კარგათ მოწყობილი ლაბორატორია. დააპატიმრეს სამი კაცი.

**ბახმუტი.** სადგურ დებალცევოზე დაატუსაღეს სამი კაცი. მათ აღმოაჩნდათ ასაფეთქებელი ნივთიერება და ორი რევოლვერი პატრონებით.

**მოგილიოვი.** 1 სექტემბერს ვლასოვის აგურის ქარხანას, დობრუშის ახლო, თავს დაესხა 11 მძარცველი. ერთი მათგანი დააპატიმრა პოლიციამ, დანარჩენებმა წინააღმდეგობა გასწიეს. ატყდა სროლა, რის დროსაც ერთი მოკლეს, ერთი დასჭრეს და სამი შეიპყრეს. მათ აღმოაჩნდათ ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რევოლვერები მოშხამული ტყვიებით, ხანჯლებით, დანები და ქარხნიდან გატაცებული ნივთები.

**სამარა.** ქალაქში ავათ გახდა ხოლერით 19, მოკვდა 3; გუბერნიაში ავათ გახდა 6, მოკვდა 17.

**მოგილევი.** სოფ. კარპოვკაში გლეხებსა და სტრაჟნიკებს შორის შეტაკება მოხდა საძოვრების გამო. დაიჭრა ურიადნიკი და რამდენიმე სტრაჟნიკი. მოკლეს ორი გლეხი. წესიერების აღსადგენათ გაიწვიეს ჯარი. გამოძიება სწარმოებს.

**ტამბოვი.** ბოროტგამზრახველებმა მძიმეთ დასჭრეს რკინის გზის სახელოსნოს ინჟინერი მილნიკოვი და მისი მოსამსახურე.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ დაასრულა საქმე 1906 წ. დეკემბერში მომხდარ ავაზაკურ თავდასხმების შესახებ, როდესაც მოკლულ იქნენ ოხტაში 2 უბნის ზედამხედველი, 2 დაბალი პოლიციელი, საიდუმლო პოლიციის აგენტი და მეეზოვე. საველიევს და პატიუკს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ორს—10 წლის კატორგა, ხოლო ორი გაამართლეს.

### უცხოეთი.

2 სექტემბერი.

**ვენა.** გაზ. „პოლიტიშე კორესპონდენცი" იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი იზვოლსკი 11 სექტემბერს გაემგზავრა კარლსბადში, 12 ს მივა ვენაში, 14-ს განზრახვა აქვს ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდის მიწვევის თანახმათ ესტუმროს მას მის მამულში, მორავიაში. იზვოლსკის აუდიენცია ფრანც-იოსებთან ალბათ 15 სექტემბერს მოხდება.

**მიუნხენი.** სოციალისტების საერთაშორისო კონგრესი 1 სექტემბერს დაიხურა. კონგრესის ადგილის დანიშვნა მომავალ წლისთვის დაევალა მუდმივ ბიუროს. 1909 წლის კონგრესი შედგება ქ. სტოკჰოლმში.

**პარიზი.** 7 ანტიმილიტარისტს, რადგან ისინი მოუწოდებდენ ჯარის კაცებს ასაჯანყებლათ, 15 თვიდან 3 წლამდე დაპატიმრება მიესაჯათ.

**ლონდონი.** გიბრალტარიდან მოსულ ცნობებით უარყოფენ ხმებს, თითქოს ისპანიის ბრიგადას ბრძანება მოუვიდა ალჟესირასიდან მაროკოში წავიდეს.

3 სექტემბერი.

**ფერბახი.** (ლოტარინგია). დღის პირველ საათზე მერლენბახის მაღნებში აფეთქება მოხდა, მოკლულ იქნა ოთხი მუშა და მძიმეთ დაშავდა სამი.

**სტამბოლი.** პურის ფასის აწევის გამო პროტესტის გამოსაცხადებლათ ზოგიერთ ადგილებში მანიფესტაციები მოხდა. ერზერუმში გაფიცულმა ბრბომ მოკლა ორი მეპურე.

სადიპლომატო კორპუსის თავმჯდომარეს— რუსეთის ელჩს ზინოვიევს პორტამ ჩააბარა მემორანდუმი, რომელშიაც მოხსენებულია უკვე ცხოვრებაში გატარებული და ახლათ შემუშავებული სასამართლო რეფორმები, რომელთა ცხოვრებაში გატარებას მაკედონიაში ახლო ხანში შეუდგებიან.

რედაქტორ-გამომცემელი
ს. ჩხარტიშვილისა.

---

„დემოკრატიოზმ!" Па кускамъ зарэжилъ! (ყველანი იცინიან ამის რუსულზე).

**ადაშვილი.** ვინ მოსწავლეები, ვინ გაფიცვა?! სუ გასატყეპლები არიან ეს სტუდენტები! Бить ихъ надо, бить! (ხმები: სუ იფნის სახრით!") აი რა მაგათი ტოლები არიან ვიღაც ხარაზები, „სტოლარები", პრიკაზჩიკები...

**გრიქორა.** ჰმ, მაგათ არ გადამირიეს. ო...ოხ, ალექსანდრე ივანიჩ! შენ სიკეთეს თავის დღეში ვერ გადავიხდი. (თვალს უშვრება) გავიგე, გავიგე, რა „სტუკაც" უყავით მაგ თოკიდან ახსნილებსა! (ადაშვილი და მისი ცოლი შიშით აქეთ-იქით იხედებიან) მაშ კაცი არ ვიქნები, თუ შენ „გლოვით" არ აგაჩრჩევინე! (ხმები: „უთუოთ, უთუოთ! ამაზე უკეთესი სხვა ვიღა გვყავს?!". ადაშვილი და მისი ცოლი სიამოვნებით იღიმებიან და ყველას მდაბლათ თავს უკრავენ).

**ტასო.** (პრანჭვით) ფი.. იფ! ჩემი ქმარი თავის დღეში мальчишк ების ტოლი არა ხდებოდა და კიდეც იმიტომ აიყვანეს! რა ხმას არ უყრიან! „შპიონობაც" კი დასწამეს!

**თავ. მიშო.** (თავს მოისაწყლებს) აი, მეც ეგრე, представьте себѣ!

**გრიქორა.** ეგეც გავიგე! (თვალს უშვრება) შენთვისაც კაი ფეშქაში მაქვს! (თავ. მიშო იღრიჯება) ვა! მეკი არსად ვიტყვი! რათა გწყინს, რა, ცოდოა მაგისთანა „კატრიუნოკეის" გაბმა?! ((ხმები „ცოდო კი არა, მადლია!") თქვენ ოღონც ჩვენი ქალაქი გაასუფთავეთ!

**ადაშვილი.** (ხელების შლით) Помилуйте! მოსვენება აღარ იყო მაგათგანა! ვინც მაგათ აზრს არ ეთანხმებოდა, ვინც თავად-აზნაურობას და ვაჭრებს არ ემტერებოდა, იმ წავე ჰკლავდნენ! მეც ავდექი და სამსახურს თავი დავანებე! (ხელის ქნევით) Ну, Богъ съ ними, совсѣмъ! მაშ ჩემი ცოლ-შვილი ვიღას შეენახა?!

**კნიაჟნა თ'ლო.** ბეჰა, ამ საწყლებმაც რა ჰქნან?! ესენიც ორ ცეცხლშუა არიან. მართლა, მუქთათ კი არ იძლევიან ჯამაგირებსა!

**ტასო.** თქვენ ეგა ბრძანეთ! ჩვენ კი ჰმა არ გვინდა?!

**გრიქორა** (ჯავრებს) „წმინდა საქმეს ვემსახურებოთ!" ისე მამა უცხონდებათ! ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, ეხლა იყრის! (ხმები: გწამთ კი წმინდანები, გაგიწყრათ იმათი მადლი თქო?;")

**თავ. მიშო.** Вотъ дураки! კაცის კვლა რა წმინდა საქმეა?¡

**ბარბაროვი.** არა, ჩემ „პრაქტიკასთან" რაღა ესაქმებოდათ, აიორე კიდევ ჰო! რები არ მომიგონეს, რა არ ჩამიწერეს გაზეთში! (დაცინვით) „ბალნიცას" ჰეჰყიანით ინახივსო"... ჰმ! „არაფერი ესმის და პაციენტებს კიევაჰრებაო!" ხა, ხა, ხა „მუჟიკი, გლეხებს ატყავებსო!" ნეტა კაპიკს ვართმევდე!

**კატო.** (ჩუმათ ანანას) დიახ, რა კაცია! „შავს" არ გადადგმს უფულოთ!

**ანანა.** (აგრეთვე ჩუმათ) რას ამბობ! ერთი ნავსი, უბედური! ახათ ჩაუწერეს¡

**თავ. ნიკო.** აბა, კიდეც ი რედაქტორები არიან გასატყეპლები, რო დაბახანათ გაუხდიათ თავიანთი გაზეთები!

**კნ. ნინო.** თან-კი მთავრობას პირს იბღვნიან—„სვაბოდა სლოვაო!" მაგაზე მეტი „სვაბოდა" რაღა უნდათ, გეთაყვანე: ყოველ დღე ლაფში გვსვრიან!

**თავ. მიშო.** მეტადრე ქართული გაზეთები!—ნამდვილი პროკლამაციაა! (ას მის ხმები: „ნეტა ისინი რაღას მიჰქარამენ?! იმათაც ერგოთ?").

**კნიაჟ. თალო.** (მძიმეთ) რაც უნდა არახუნონ!—ძაღლი ჰყეფს და ქარს მიაქვსო!" (ზარი).

**კატო.** (წამოხტება) ეს ჩემი დისწული, შაქრო, იქნება—ჩემ წასაყვანათ მოვიდოდა. (დანარჩენი სტუმრებიც წამოდგებიან და ამბობენ: „ჩვენ აქ ლაპარაკში გავებით და ხანი კი გაგვეპარა!" ამ დროს გაბრწყინვალებული სახით შემორბის შაქრო—17 წლის გიმნაზიელი).

გამოსვლა 2
იგინივე და შაქრო.

**შაქრო.** (აღტაცებული, ჰერში ქუდს ისვრის) გაუმარჯოს თავისუფლებას! Да здравствуетъ свобода! (ყველანი უკან დაიწევენ და შიშით აქეთ-იქით იხედებიან, აფრთხილებენ: „სს...შ осторожно! ჩუმათ, გეთაყვა! აქ ჩვენც არ აგვწიონ!").

**კატო.** (შეუტევს) თოქში, თოქში! რა მოგივიდა?!

**შაქრო.** (მეტი-მეტი სიხარულისაგან გულამოვარდნილი) გაფიცვებმა გასჭრეს!. მ ნიფესტი გამოსულა! (ყველანი თავალებ დაჭყეტილნი ერთხმათ წამოიძახებენ: „ა...ა...ა!" უსიტყვო სცენა.) ეს არი, ეხლა გავიგე!... ყველაფრის თავისუფლება .. სიტყვით კრებით...

**ყველანი.** (ელდანაკრავივით) მოკვლისაც?!!!

**შაქრო.** (ხელის ქნევით) ეხ! თქვენ სუ სიკვდილისა გეშინიანთ! „შპიონებს", конечно, არ აპატიებენ! (ყველანი, უნებლიეთ, გადაფითრებულ თავ. მიშოს და ადაშვილს გადახედავენ) ჯერ მოვიდნენ ამხანაგები, თვითონ ისინი მოუვლიან!

**ყველანი.** (ტყვიანაკრავივით) განა უშვებენ?!!!

**შაქრო.** (სიხარულით) მაშ, მაშ! ამნისტია გამოუცხადეს! (ყველანი ერთმანეთს ჩურჩულს დაუწყებენ: „ვაი ჩვენი ბრალი ახლა-უარესს იზამენ!„).

**თავ. მიშო.** (იქით) კაი რამ, რო პრისტავათ არ შევედი!

**ყველანი.** (ერთმანეთს ჩურჩულით ეხვეწებიან ავანსცენაზე კუთხეში: „გენაცვალე, თუ მითქვამს რამე, არა წამომცდეს-რა!.." „არც ჩემი გჯიდეს, შვილებო ნუ დაეხოცება!" пожалуйста, არ გამოქვათ, თორე ამათი თავი ვისა აქვს?!" „რას ბძანებთ, ამისთანა ხალხს სუ უნდა ვეფეროთ და წითელი ვაშლი უგოროთ!„).

**შაქრო.** (ყველას—დაცინვით) თქვენ როგორღაც არ გიამოთ?! (იქით) რა საგილიოტინე მასალაა! (ყველანი გონს მოვლენ და ფარისეულათ მოჰყვებიან: „ნურა აამოს-რა მამაზეციერმა, ვისაც იმათი დაჭერა უხაროდა!" „იცის ღმერთმა, როგორ ვიტანჯებოდი იმ საცოდავებისთვის!" „ბეჰა, ენა ადვილათ იტყვის¡" „ი...ჰ! რას ბძანებთ, გენაცვალე, იმათი დედის ცოდით ვიწოდით!" მართლა, ისეთიც რა დააშავეს?!

**თავ. მიშო.** Какой „დააშავეს!" იესო ქრისტესავით, ხალხისთვის თავი გადასდეს! (იმას ხმები: სახელი გაუწყდეს იმათ მწვალებლებს!")

**თავ. ნიკო.** მაგ ოხერმა „ნაჩალნიკმაც" მეტი-მეტათ ა უჭირა და არც ეგრე იქნებოდა! ბავშვების დამწყვდევა და ციმბირი სად გაგონილა?! (ისმის აქეთ-იქიდან ხმები: „ეგა ბძანე! ნეტა ისე კარგები მაინც არა ყოფილიყვნენ!")

**ტასო.** да, да! სუ ჭკვიანები, ნასწავლები! (ხმები: „უწყინარები!-პირში რძე ამოსდიოდათ!").

**კნ. ნინო.** ნეტა ისე არ შემყვარებოდნენ! დასწყევლოს, რა გული მაქვს! (ხმები: „მეც! მეცა"!

**გრიქორა** (ბარბაროვს) რას ამბობ, კაცო! იმათთანა რაზვიტიები" ვიღა დარჩა აქა?! სწორეთ მაგაზე იტყვიან: „ბედაურები დაიხოცნენ ვირებს დარჩათ მოედანიო!" ვიღაა ჩვენი პატრონი?! ყველანი ბანს აძლევენ).

**ადაშვილი.** Помилуйте, лучшій цвѣтъ молодежи! ჩვენი იმედნი, მომავალი ბურჯნი (ყველანი ბანს აძლევენ: მაშა, მაშა!").

**ტასო** (შაქროს) მერე ჩემ ქმარს როგორ უყვარს ახალგაზდობა!

**ბარბაროვი.** (მხარზე ხელს დაჰკრავს შაქროს) такъ, значитъ, наша взяла, молодой человѣкъ! (ხელების სრესით) ну съ, ეხლა კი, როცა наконец-то მოვიპოვეთ თავისუფლება, შეგვიძლიან კონსტიტუციის სადღეგრძელო დავლიოთ! სავსე სტაქნით, სტაქნით! молодой человѣкъ, „ალავერდი" къ вамъ! მოიცა, „მარსელიეზასაც" ვიმღერებ! ხა, ხა, ხა! (მხარზე ხელს დაჰკრავს და ხმა-დაბლა) я самъ страшный революціонеръ! სტუდენტობის დროს ცხრაჯერ ვიჯექ ციხეში!

**თავ. მიშო.** Господа! გლეხებსაც ნუ დავივიწყებთ! ეს ღმერთმა ის აცოცხლოს, ვისი მარჯვენითაც ვცხოვრობთ! (ყველანი ბანს აძლევენ და სცლიან სავსე სტაქნებს).

**გრიქორა.** აი, ეგ არი კარგი! რაც მართალია, მართალია! (შაქროს ხმა-დაბლა) მე ესე კი ნუ მიცქერი! ასეთი ჩუმი „საცვიალისტი" ვარ, რო! მაშ! როცა იმ ხალხისთვის ფული გინდოდეს, ჩემთან მოდი ხოლმე! всѣмъ серцомъ и душомъ! (უფრო ხმა-დაბლა) შპიონებსაც მე მოგასწავლი (იქით) თუ ჩემი ტერი არ მოვაკვლევინე არ იქნება.

**თავ. მიშო** (განზე გაიყვანს შაქროს და ეჩურჩულება) კაცო, მასწავლე მაინცა: როგორ მოვახერხო, რო კნიაზი არ ვიყვე? съ какой стати, ყველანი თანასწორები ვართ!

**კნ. ნინო** (მივა იმათთან და ხმა-დაბლა) რა ამბავია? რევოლიუცია როდის დაიწყება? აქედან მოვა თუ იქიდან? გენაცვალე, სწორეთ მითხარი: ჩვენ ხო არ გვერჩიან? აი, ეს ორი მანეთიც „კამიტეტს" გადაეცი, გეთაყვა. (ფულს აძლევს შაქროს).

**ადაშვილი** (ჯიბეში ხელს გაუყრის შაქროს და განზე გაიყვანს (უნდა როგორმე მოვახერხოთ, რო აქაური ციხიდანაც გამოუშვან ხალხი, ნეტა ეს „ვალავა" რას აკეთებს? ახ მე ვყოფილიყავ! თხოვნას თხოვნაზე მივართმევდი, მაგრამ, აბა, ეხლა რა შემიძლიან? ისედაც ცალი თვალით მიცქერიან... собственно, ჩემი რწმენის გამო დამითხოვეს სამსახურიდგან.. ბიუროკრატები რო მეჯავრებოდნენ, ცუდი ხმაც დამიყარეს... это все полицейская утка! მე ვაჩვენებ მაგათ!

**ტასო** (რომელიც ორი წუთის წინათ მიუახლოვდა ამათ) ო... ო! ჩემი ქმარი ისეთი ლიბერალია! ისე უყვარს „პერედოვოი" ხალხი! ძლივ წამოვიყვანე აქა... ნეტა, რა დროს „ლოტოა"?! იქ ხალხი იტანჯება, იქ სამართლისთვის თავსა სდებენ და ჩვენ აქ უნდა ვიმხიარულოთ?! (ზიზღით) უხ! გული მერევა ამათში, მაგრამ რას იზამ?! ღმერთს გეფიცები, შვილები რო არ მყავდეს, პირველი მე გავიტანდი წითელ ბაირაღს! Ахъ, какая душка была Софія Перовская! (თავის ქნევით) прелесть!

**ბარბაროვი** (უყვირის შაქროს, молодой человѣкъ! აბა, დავიწყოთ „მარსელიეზა"... ნამდვილათ კი იცით, რო მანიფესტი გამოვიდა?

**ყველანი:** ჯერ ნამდვილათ გაიგეთ, მართლა თავისუფლებაა?!—ეპარაფერი შეგენთხვეთ! „პატრულები" დადიან...

**შაქრო.** ვეუბნებით, მანიფესტი გამოვიდა მეთქი! Вотъ люди!

**ბარბაროვი.** (დამშვიდებული) нѣтъ, ხელს არ გვახლებენ... (დაიწყებს) „Отречемся отъ стараго мі...ра (ადაშვილი, მისი ცოლი, თავ. მიშო და შაქრო ბანს აძლევენ. ფარდის დაშვების შემდეგაც ისმის სიმღერა: „оттряхнемъ его слѣдъ" და სხვა...

(ფარდა).

ელექტრომბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკის № 1.